



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაგოდეხის სახალხო თეატრი

ლაგოდეხის სახალხო თეატრი, 1939 ლაგოდეხში დაარსდა მოყვარულთა თეატრი (ხელმძღვ. რ. ქართველიშვილი), რ-საც 1940-47 ეწოდებოდა საკოლმეურნეო თეატრი. 1947 თეატრმა მცირე ხნით სახელმწ. თეატრის სტატუსი მიიღო. 1951 შეიქმნა დრამ. წრე, რ-მაც 1957 თბილ. საკავშ. ფესტივალზე წარადგინა სპექტაკლი „ჩემი შვილი სიმონი“, რის შემდეგაც მიენიჭა სახ. თეატრის წოდება.

1939-84 დაიდგა ლ. სუმბათაშვილის „ტირიფების ქვემ“, გ. ბეგაშვილის „სადგურის უფროსი“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ა. ყაბბეგის „ციცია“ (რეჟ. რ. ქართველიშვილი); ე. გივიშვილის „კარგი ამხანაგები“, ე. ვარსკის „გზააბნეული შვილი“ (რეჟ. ა. ალაზნისპირელი); მ. მრევლიშვილის „შავი წიგნი“ (რეჟ. ნ. დეისაძე); ა. ყაბბეგის „ელეონორა“, ა. სამსონიანის „ჩემი შვილი სიმონი“, ი. ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ (რეჟ. ვ. კაბლელი) და სხვ.

1985-2022 ლ. ს. თ-ის რეჟისორი იყო გ. ჭიბლაძე. მისი დადგმებიდან აღსანიშნავია: გ. გორხელაშვილის „ალხანა და ჩალხანა“, ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!", გ. გოდერძიშვილის „რკინის კარს უკან“, დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორნინეს“, ლ. თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, ნ. დუმბაძის „კუკარაჩა“, ა. ცაგარლისა და ქ. ბახუტაშვილის „ძველი ვოდევილები“, გ. ვერულეიშვილის "ბაჩუნე" და სხვ.

2022-იდან თეატრის რეჟისორია რ. კერვალიშვილი.

1981 დრამ. თეატრის შენობა დაიწვა. ამჟამად იგი ფუნქციონირებს კინოთეატრ „სინემას“ შენობაში.

ლ. ს. თ-ის შესახებ გადაღებულია დოკუმენტური ფილმი „მტვერით მოწამლულები“ (რეჟ. თ. ბართაია, 2018).

თ. კახიანი
